THE CHARACTER AND THE ERA: ZVIAD GAMSAKHURDIA'S LITERARY REPRESENTATION IN LASHA BUGADZE'S „IN THE NAME OF GEORGIA" AND NINO HARATISCHWILI'S „THE EIGHTH LIFE"

პერსონაჟი და ეპოქა: ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული რეპრეზენტაცია ბუღაძისა და ხარატიშვილის რომანებში „საქართველოს სახელით" და „უკმარი სინათლე"

Ana Imnadze
Doctor of Philology,
Associated Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze St., No. 53, 1400, Georgia,
+995577922552, pr@gu.edu.ge
https://orcid.org/0000-0003-3947-0352

Abstract. This study investigates the transformation of historical figures into literary characters in contemporary Georgian prose, focusing on the representation of Zviad Gamsakhurdia in Nino Haratischwili's „The Eighth Life" and Lasha Bugadze's „In the Name of Georgia". The research aims to elucidate the ways in which contemporary literature intertwines historical memory with artistic imagination, to examine how moral and psychological dimensions are constructed within the literary portrayal of historical leaders, and to analyze how this process reflects the dynamic interplay between factual history and fictional narrative.

Methodologically, the study employs historical-literary analysis, close textual interpretation, and contextual reading. In Bugadze's novel, Gamsakhurdia emerges as a complex and multifaceted character, embodying national messianism, political tragedy, and societal disillusionment. Conversely, in Haratischwili's work, although Gamsakhurdia does not directly appear as a character, the socio-political atmosphere of his era profoundly shapes the narrative structure and the psychological development of the protagonists.

The analysis reveals that both novels offer complementary yet distinct perspectives on Georgia's recent history, emphasizing the multiplicity of approaches to the literary representation of political leadership. Ultimately, the study demonstrates that the works of Bugadze and Haratischwili function not only as literary archives of collective memory but also as significant instruments for the psychological exploration of national trauma and individual existential crises.

Kaywords: Zviad Gamsakhurdia, Nino Kharatishvili, Lasha Bughadze, Insufficient Light, In the Name of Georgia, Historical Figure in Literature, Artistic Representation, Historical Memory.

ანა იმნაძე
ფილოლოგიის დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., No53, 1400, საქართველო,
+995577922552, pr@gu.edu.ge
https://orcid.org/0000-0003-3947-0352

აბსტრაქტი. ნაშრომი განიხილავს ისტორიული ფიგურების ლიტერატურულ პერსონაჟებად ტრანსფორმაციის სპეციფიკას თანამედროვე ქართულ პროზაში, კონკრეტულად კი ზვიად გამსახურდიას რეპრეზენტაციას ნინო ხარატიშვილის რომანში „უკმარი სინათლე“ და ლაშა ბუღაძის რომანში „საქართველოს სახელით“. კვლევის მიზანია გაარკვიოს, როგორ უკავშირდება ისტორიული მეხსიერება მხატვრულ ინტერპრეტაციას თანამედროვე ლიტერატურულ ნარატივში, როგორ ყალიბდება მორალური და ფსიქოლოგიური შრეები ისტორიული ლიდერის ლიტერატურულ პორტრეტებში და როგორ არის ეს პროცესი განპირობებული ავტორთა მხატვრული ფანტაზიითა და ეპოქის რეალობით.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-ლიტერატურულ ანალიზს, ტექსტურ ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალურ გააზრებას. ლაშა ბუღაძის რომანში ზვიად გამსახურდია წარმოჩენილია როგორც მრავალშრიანი პერსონაჟი, რომელიც აერთიანებს ეროვნული მესიანიზმის, პოლიტიკური ტრაგედიისა და საზოგადოებრივი კრიზისის ასპექტებს, ხოლო ნინო ხარატიშვილის რომანში, მიუხედავად მისი ფიგურის არაპირდაპირი რეპრეზენტაციისა, გამსახურდიას და მისი შემდგომი ეპოქა არსებით გავლენას ახდენს სიუჟეტურ განვითარებასა და პერსონაჟთა შინაგან დინამიკაზე.

ორივე ტექსტი ასახავს საქართველოს უახლეს ისტორიულ გამოცდილებას და ავლენს ისტორიული ლიდერის მრავალფეროვან ლიტერატურულ რეპრეზენტაციას. ნაშრომი აჩვენებს, რომ ლაშა ბუღაძისა და ნინო ხარატიშვილის რომანები ფუნქციონირებენ როგორც ისტორიული მეხსიერების ლიტერატურული არქივები და ინდივიდუალური თუ კოლექტიური ტრავმების ფსიქოლოგიური ანალიზის მნიშვნელოვან საშუალებებად.

საკვანძო სიტყვები: ზვიად გამსახურდია, ნინო ხარატიშვილი, ლაშა ბუღაძე, უკმარი სინათლე, საქართველოს სახელით, ისტორიული ფიგურა ლიტერატურაში, მხატვრული რეპრეზენტაცია, ისტორიული მეხსიერება.

შესავალი. ისტორიული ფიგურის ლიტერატურულ პერსონაჟად გარდაქმნა წარმოადგენს დოკუმენტური სინამდვილისა და მხატვრული ფანტაზიის შერწყმას. მსგავსი მიდგომა აძლევს მწერალს საშუალებას არა მხოლოდ აღადგინოს ისტორიული კონტექსტი, არამედ წარმოსახვითი მექანიზმების მეშვეობით უფრო ღრმად ჩასწვდეს გმირის შინაგან მოტივაციას და ეპოქის ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. პოლიტიკურ ლიდერთა მხატვრული ასახვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარდამტეხ ისტორიულ პერიოდებში, რაც თვალსაჩინოდ ვლინდება ზვიად გამსახურდიას ფიგურის ლიტერატურულ რეპრეზენტაციაში. მსგავსი შემთხვევები ფართოდ შეინიშნება არა მხოლოდ ქართულ, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატურაშიც. მაგალითად, პოლონური ლიტერატურა ხშირად წარმოგვიჩენს სოლიდარობის მოძრაობის ლიდერების სიმბოლურ სახეებს, ხოლო ჩეხურ ლიტერატურაში ვაცლავ ჰაველის სახე გადაიქცა თავისუფლების მორალური მეტაფორად (Herodotus, 2003; Plutarch, 1914).

ისტორიული ფიგურების ლიტერატურული პერსონაჟებად გამოყენება უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ერთ-ერთი ადრეული მაგალითია გილგამეშის ეპოსი (Sandars, 1972), რომელიც ასახავს ურუქის მეფეს, გილგამეშს, როგორც გმირს, რომელიც უკვდავებას

ეძებს. მიუხედავად იმისა, რომ გილგამეში რეალური ისტორიული ფიგურა იყო, ეპოსში ის მითოლოგიური მახასიათებლებითაა გაჯერებული, რაც მას ისტორიული მოღვაწის მხატვრული რეინტერპრეტაციის პირველ ნიმუშად აქცევს (Sandars, 1972, pp. 25–30). ძველ საბერძნეთში ჰეროდოტე თავის „ისტორიებში“ აერთიანებს ფაქტებსა და ლეგენდებს (Herodotus, 2003, გვ. 44–48), ხოლო პლუტარქე „პარალელურ ცხოვრებაში“ ადარებს ბერძენ და რომაელ მოღვაწეებს, აძლევს მათ ლიტერატურულ სიღრმეს (Plutarch, 1914, გვ. 65–70).

საქართველოს შემთხვევაში, ზვიად გამსახურდიას ფიგურა განსაკუთრებულ სიმბოლურ დატვირთვას იძენს, როგორც პირველი დამოუკიდებლად არჩეული პრეზიდენტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ლაშა ბუღაძის რომანი საქართველოს სახელით (ბუღაძე, 2023) და ნინო ხარატიშვილის რომანი „უკმარი სინათლე“ ამ ტრადიციას უერთდებიან და ქართულ ლიტერატურაში ქმნიან ზვიად გამსახურდიას, როგორც მხატვრულ პერსონაჟს — არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების გადმოცემით, არამედ ფსიქოლოგიური და მორალური კრიზისების გამოხატვით.

დღევანდელი კვლევის საგანია ზვიად გამსახურდია — საქართველოს პირველი პრეზიდენტი — როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, XXI საუკუნის თაობის ქართველი მწერლების შემოქმედებაში წარმოდგენილი (ხარატიშვილი, 2022; ბუღაძე, 2023).

მეთოდები. კვლევა ეფუძნება კომპარატიულ-ისტორიულ მეთოდს, თემატურ ანალიზს და კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას.

გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

ისტორიული დოკუმენტები და მემუარული მასალა;

ნინო ხარატიშვილის რომანი „უკმარი სინათლე“;

ლაშა ბუღაძის რომანი „საქართველოს სახელით“;

სხვა ავტორთა ლიტერატურული ტექსტები, რომლებშიც გამოჩნდება ზვიად გამსახურდიას სახე.

მეთოდოლოგიური ყურადღება გამახვილებულია პერსონაჟის ფსიქოლოგიური ღერძის და მორალური დილემების ანალიზზე, ხოლო სოციალური და ისტორიული კონტექსტი განიხილება როგორც ფონური კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონაჟის ქცევასა და განვითარების დინამიკას.

შედეგები და მსჯელობა. გამსახურდიების გვარის წარმოშობა მუხრან-ბატონ ბაგრატოვანთა პოლიტიკურ კურსს უკავშირდება, რომელიც საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად (გამსახურდია, 1945, გვ. 55–56). კონსტანტინე გამსახურდია თავის ავტობიოგრაფიულ ტექსტში „ლანდებთან ლაციცი“ აღნიშნავს: „ერთი შტო ჩვენი გვარისა ქართლის მეფეს ვახტანგ მეექვსეს გაჰყოლია რუსეთში“ (გამსახურდია, 1945, გვ. 57).

სოფიო ღლონტი თავის მონოგრაფიაში ხაზს უსვამს, რომ გამსახურდიების გვარის ფუძე არის ლათინური ზმნა servio — „მსახურება“, რაც ასახავს მათ ღირებულებით სისტემას (ღლონტი, 2018, გვ. 24). ზვიად გამსახურდიას პიროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც ოჯახმა, ასევე ეპოქამ (ღლონტი, 2018, გვ. 35). მამის, კონსტანტინე გამსახურდიას გავლენა განსაკუთრებულად მკაფიო იყო, რასაც მისი წერილიდანაც ვიგებთ: "ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში და აწი დროა, შენ სერიოზულად ემზადო, რათა გახდე ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი" (გამსახურდია, 1945).

ზვიად გამსახურდია ბავშვობიდანვე განსაკუთრებული სოციალური სტატუსით გამოირჩეოდა, თუმცა მაინც გამოავლინა დამოუკიდებელი აზროვნება და მაღალი საზოგადოებრივი ცნობიერება (ღლონტი, 2018, გვ. 40–41). 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შემდეგ ზვიად გამსახურდიამ აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო

(ღლონტი, 2018, გვ. 50). მისი პატიმრობები და ფსიქიატრიული კლინიკაში მოთავსება ეროვნულ-გამათავისუფლებელ საქმიანობას უკავშირდებოდა.

1988-1989 წლებში ის რუსთაველის გამზირზე მასშტაბურ აქციებს უძღვებოდა, რასაც 1991 წელს საქართველოს პრეზიდენტად არჩევა მოჰყვა (ხარატიშვილი, 2022, გვ. 120–125). თუმცა მისი პრეზიდენტობა მალევე აღმოჩნდა კრიზისული და ტრაგიკული (ბუღაძე, 2023, გვ. 78–85).

ზვიად გამსახურდია, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, გვხვდება ისეთ ავტორებთან, როგორებიც არიან გურამ დოჩანაშვილი, ნაირა გელაშვილი, ოთარ ჩხეიძე, ჯაბა იოსელიანი, დათო ტურაშვილი, ზაირა არსენიშვილი. თანამედროვე პერსპექტივით მას განიხილავენ ნინო ხარატიშვილი და ლაშა ბუღაძე, რომელთა თაობას არ ჰქონდა უშუალო მონაწილეობა გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებში, რაც მათ ანალიზს მეტი ობიექტურობის საშუალებას აძლევს (ხარატიშვილი, 2022, გვ. 300–310; ბუღაძე, 2023, გვ. 88–92).

ლაშა ბუღაძე დაიბადა 1977 წელს და 14 წლის მოზარდს წარმოუდგენელია სრული სიმძაფრით და პასუხისმგებლობით აღექვა რაც ხდებოდა თბილისში, მით უფრო ეგრძნო რაიმე პასუხისმგებლობა, მიუხედავად ამისა, 2023 წლამდე ის მაინც ცდილობდა არ შეხებოდა ამ პროცესებს. 2023 წელს გამომცემლობა „სულაკაურმა“ გამოსცა მისი რომანი „საქართველოს სახელით“, რომელიც XX საუკუნის 80-90-იანი წლების საქართველოს ავტობიოგრაფიაა და ამ პერიოდის ყველა მოვლენა მეტ-ნაკლები ირონიით, გარკვეული ეპატაჟითა და ჰიპორბოლიზებულადაა ასახული. ავტორი, ცდილობს ყოველ მეორე წინადადებაში გაიხსენოს და ხაზი გასუვას იმ ფაქტს, რომ მოვლენების განვითარების დროს ის მხოლოდ 14 წლისაა და მხოლოდ უფროსების ქცევისა და რეაქციის მიხედვით შეეძლო გაეგო რა ხდებოდა ქალაქში. ეს ყველაფერი უფროსი თაობის, მამების და ბებიების ამბები იყო, „ეს რომ ბებიაჩემის ომი იყო, იმ პირველი აფეტქებიდან გახდა ცხადი, როცა გენერლის მიერ გამოსროლილი ჭურვი უზენაესი საბჭოს შენობის მეექვსე სვეტს მოხვდა და უცნაურად გაგლიჯა შუაზე“ (ბუღაძე, 2023, 415). რომანის მთავარი პერსონაჟი საქართველოა. ასევე, ავტორი მეტ-ნაკლები დოკუმენტალობით ცდილობს გააცოცხლოს პროცესების მთავარი მონაწილეები, როგორც ხელისუფლებიდან, ასევე ინტელიგინციისა და მოწინააღმდეგე ბანაკიდან. ორივე მხარის არგუმენტები წარმოაჩინოს. ლაშა ბუღაძე რომანში „საქართველოს სახელით“ ასახავს იმ დისკურსულ ველს, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა. ზვიად გამსახურდიას ხატი დგას ორ პოლუსს შორის — ერთი მხრივ, მასში ხედავენ ეროვნულ გმირს, მეორე მხრივ — ავტორიტარიზმის სიმბოლოს. ეს დუალიზმი ლაშა ბუღაძის ტექსტში ინტეგრირებულია, რაც უზრუნველყოფს პერსონაჟის მრავალშრიანობას და მას ლიტერატურულ ღირებულებას ანიჭებს.

გარდა ამისა, ავტორის ნარატივი ასახავს ტრავმული მეხსიერების ფორმირებას, რაც თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში აქტიურად განიხილება. მისი პერსონაჟები და სიუჟეტური ხაზები აჩვენებენ, როგორ იქცევა ეროვნული ტრავმა კულტურული იდენტობის ერთ-ერთ არსებით კომპონენტად, რაც ახდენს გავლენას ინდივიდების ცნობიერებაზე და ქვეყნის მომავალზე.

ლაშა ბუღაძის ტექსტში ერთ-ერთი გამორჩეული თემატური ხაზია ისტორიული რეალობის შეფასების აუცილებლობა და პასუხისმგებლობა. ავტორი მკითხველს პირდაპირ არ კარნახობს შეფასებებს, თუმცა გამოხატავს მყარ პოზიციას იმ ისტორიული მოვლენების მიმართ, რომლებიც 1990-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ვითარდებოდა. მისი თქმით, „ოდესღაც ხომ უნდა დადგეს ისტორიის შეფასების დრო, სადღაც, ვიღაცამ ხომ უნდა დაარქვას მოვლენებს თავისი სახელი და გაუთავებლად იმის გამეორება, რომ ახლა ამის დრო არაა, მხოლოდ ამძიმებს სიტუაციას“ (ბუღაძე, 2023, გვ. 322). მიუხედავად იმისა, რომ ლაშა ბუღაძე მუდმივად ხაზს უსვამს საკუთარ არასრულწლოვან

ასაკს განხილული პროცესების დროს და აღნიშნავს, რომ არ ჰქონია შესაძლებლობა პოზიციის დაკავებისა ან ჩართულობის, ტეტქსტში მაინც იკითხება ღია და ხშირად მწვავე შეფასებები, მაგალითად, ავტორი წერს: „ვერ იტანდნენ ამ სამშობლოს, უყვარდათ ის საბჭოთა კავშირი, რა ექნათ“ (ბუღაძე, 2023, გვ. 376), ან – „ფული ოპოზიციას ჰქონდა, მათ შორის იარაღის“ (ბუღაძე, 2023, გვ. 376), აგრეთვე „კიბეზე ჩამომსხდარი მოღალატე ჟურნალისტები“ (ბუღაძე, 2023, გვ. 383). რომანში მკვეთრად ფიქსირდება დიქოტომიური დაყოფა: ერთი მხრივ, ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი საზოგადოება, რომელიც ავტორის თქმით, “შიშველი ხელებით დაიცავდა ეროვნულ ხელისუფლებას” (ბუღაძე, 2023, გვ. 376); მეორე მხრივ კი – ოპოზიციური ძალები, რომელთა ლიდერებსაც “ზავკოში” ღამის გათენება სჭირდებოდათ, რადგან “იცოდნენ, რომ რუსები დაიცავდნენ” და “ქვეყნის არევა რომ დაესახათ მიზნად” (ბუღაძე, 2023, გვ. 376). ამ ორ ბანაკს შორის ხაზგასმულია სახელმწიფოს მხრიდან მოლაპარაკების და კომპრომისის სურვილი – ავტორი აღნიშნავს, რომ ხელისუფლება მზად იყო ვადამდელი არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩასატარებლადაც კი, ასევე პატიმრის გათავისუფლებისთვის შეთანხმების ფასად: „ხელისუფლება ყველაფერს თმობდა [...] იმ ნაძირალას, ბანდიტური გასამხედროებული ხროვის შემქმნელს, ვისაც ციხის კარსაც გაუხსნიდა შეთანხმების შემთხვევაში“ (ბუღაძე, 2023, გვ. 378). მეორე მხარის პოზიცია კი, როგორც ავტორი აღნიშნავს, არა თუ შეთანხმების მიღწევის სურვილს, არამედ ქვეყნის დესტრუქციულ დაშლას უკავშირდება. ოპოზიციის მიზანი, ლაშა ბუღაძის აღწერით, იყო “დიქტატორის მანდვე ჩაფლვა და სოლოლაკის აფეთქება”, რასაც მოჰყვებოდა ქალაქის მასშტაბური განადგურება: „ან ბენზინის კასრს ჩავაგდებთ და გადავბუგავთ იქაურობას“ (ბუღაძე, 2023, გვ. 405). ბუღაძის თხრობის სტილი აერთიანებს დოკუმენტურ და ემოციურ ასპექტებს, რაც ტექსტს ანიჭებს როგორც ნარატიული ისტორიის, ისე სუბიექტური გადმოცემის ხასიათს. ამით ავტორი ცდილობს არა მხოლოდ მოვლენათა ქრონოლოგიური რეგისტრირება, არამედ მათი მორალური და პოლიტიკური კოდიფიცირებაც.

ლაშა ბუღაძის რომანში ზვიად გამსახურდია წარმოდგენილია როგორც რთული და კონტრადიქტორული ფიგურა, რომლის ხატიც აშკარად სცილდება ბიოგრაფიულ აღწერას და გადადის სიმბოლურ სიბრტყეში. პერსონაჟი გამსახურდია წარმოდგენილია ერთდროულად როგორც ეროვნული ლიდერი და პიროვნება, რომელიც შემდგომ საკუთარივე მესიანისტური ხედვის მსხვერპლი ხდება. პერსონაჟის სახის აგებისას ბუღაძე იყენებს რამდენიმე ლიტერატურულ ხერხს:

გმირის და ანტიგმირის ნიშნების შერწყმა — გამსახურდია არის ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლო, მაგრამ ასევე — ძალაუფლების ცდუნებით შეპყრობილი პიროვნება.

ირონიული დისტანცია — ავტორი ტექსტში ხშირად ამკვიდრებს ირონიულ ტონს, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს პერსონაჟს არა მითოლოგიური, არამედ კრიტიკული პერსპექტივიდან შეხედოს.

მესიანისტური რიტორიკის პათოსი — პერსონაჟის მიერ წარმოთქმული სიტყვები და მოწოდებები სავსეა მისიის აღქმითა და განსაკუთრებულობის განცდით, რაც საბოლოოდ იწვევს მის იზოლაციას და დაცემას.

ზვიად გამსახურდიას ქმედებები და მეტყველება რომანში წარმოჩენილია როგორც მისი კომუნიკაცია რეალობასთან. როგორც ბუღაძე ერთგან აღნიშნავს: „ჩვენი მეფე ვერაფერს ხედავდა იმ გადაღლილი ხალხის თვალებში — მარტო თავის ოცნებებს უყურებდა.“ ავტორის აზრით ეს ფრაზა გამოხატავს გამსახურდიას პერსონაჟის უმთავრეს ტრაგიზმს: მის უნარს, შთააგონოს მასები, და ამავდროულად, მის უუნარობას, გაუგოს იმავე მასების რეალურ მოლოდინებსა და ტკივილებს.

ლაშა ბუღაძე რომანში არ ცდილობს ზვიად გამსახურდიას წმინდა პოლიტიკური კრიტიკის ან მითოლოგიზაციის გზით წარმოჩენას. პირიქით, იგი ქმნის პერსონაჟს,

რომელიც აერთიანებს გმირობისა და მარცხის ელემენტებს. ზვიად გამსახურდია რომანში ჩანს როგორც ფიგურა, რომელმაც ერთდროულად მოახერხა ეროვნული შთაგონების გაღვივება და შემდეგ საკუთარი თავის განადგურება. ავტორი ხაზს უსვამს მის ტრაგიკულ ბუნებას — პრეზიდენტი წარმოდგენილია როგორც ადამიანი, რომელიც თავდაპირველად მართალია, მაგრამ პროცესის მანძილზე საკუთარ ძალაუფლებასა და მისტიკურ მესიანიზმში იკარგება.

რომანში ზვიად გამსახურდიას გარეგნული აღწერა არ არის დეტალურად გაშლილი, თუმცა დამახასიათებელია მისი შთამბეჭდავი, თითქოს შეუვალი სახე, რომელიც პიროვნულ მტკიცედობაზე მიანიშნებს. მისი ფიგურა რომანში სიმბოლურად გვევლინება როგორც "მესიანური ლიდერის" ხატი, თუმცა ამავე დროს — ჩრდილოვანი ტრაგიზმის მატარებელი. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას სახელი ტექსტში პირდაპირ არ არის მოხსენიებული, მისი მმართველობის პერიოდის მოვლენები და მათი გავლენა საზოგადოებაზე აშკარად იგრძნობა. მაგალითად, როგორც მთხრობელი იხსენებს: „ქვეყანა გახლეჩილი იყო, ზოგისთვის პრეზიდენტი მესიასავით იყო, ზოგისთვის – ახალგაღმართული დიქტატორი.“ ეს ფრაზა გამოხატავს იმ ორაზროვან დამოკიდებულებას, რაც მაშინდელ საზოგადოებაში არსებობდა. ავტორი აღწერს, როგორ შეიცვალა საზოგადოებრივი განწყობა და როგორ განვითარდა მოვლენები ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე. ერთგან ნათქვამია: „თავისუფლებას ველოდით, როგორც ხსნას, მაგრამ თავისუფლება უცნაურად მძიმე გამოდგა.“ ამ სიტყვებში იგრძნობა იმედგაცრუება და რეალობის სიმძიმე, რაც თან ახლდა დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესს.

ზვიად გამსახურდიას ქმედებები ტექსტში აღწერილია როგორც ერთგვარი ძალაუფლების მანიფესტაციები: გადაჭრით გამოთქმული პოლიტიკური პოზიციები, ოპონენტების მიუღებლობა, ხისტი დამოკიდებულება განსხვავებული აზრის მიმართ.

ამავე ეპოქას და თემებს ეხმიანება ნინო ხარატიშვილი თავის შემოქმედებაში და როგორც უკვე აღვნიშნეთ ლიტერატურაში ისტორიული ეპოქების რეპრეზენტაცია ხშირად ხდება როგორც პირდაპირი სიუჟეტური გამოსახულებით, ასევე მეტაფორული და ემოციური ატმოსფეროთი (Assmann, 2011). ნინო ხარატიშვილის რომანში „უკმარი სინათლე“ 1990-იანი წლების დასაწყისი არა მხოლოდ ისტორიულ მოვლენათა გადმოცემით, არამედ პერსონაჟების გრძნობითი სამყაროს ტრავმატული დანგრევითაა აღწერილი. ამავდროულად, რომანი ეხმიანება კოლექტიური მეხსიერების დეფორმაციას, როდესაც დიდი ეროვნული იმედები მალევე გადაიქცა სოციალურ და პირადულ კატასტროფად.

ნინო ხარატიშვილი დაიბადა 1983 წელს და გასული საუკუნის 90-91-იან წლებში განვითარებულ მოვლენებში წარმოუდგენელი იყო გარკვეულიყო და მით უფრო რაიმე შეფასება გაეკეთებენა. თუმცა, ამ მოვლენების შედეგები ვერც მან აიცილა და ჩაბნელებული და გაყინული, კრიმინალური თბილისის მძიმე მოგონობები იქცნენ მისი შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ხაზად. 1995-97 წლებში ლაშა ბუღაძის მსგავსად მანაც შეძლო დაეტოვებინა თბილისი და გერმანიის სიმშვიდისთვის შეეფარებინა თავი. ნინო ხარატიშვილმა გერმანიაში გააგრძელა მოღვაწეობა და დღეს ითვლება გერმანულენოვან ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქართველ ავტორად. მისი ორი გახმაურებული რომანი „ბრილკა, მერვე სიცოცხლე“ და „უკმარი სინათლე“ გამომცემლობა ინტელექტმა დამოსცა 2007 და 2022 წელს და დიდი გამოხმაურება გამოიწვია ქართველ მკითხველსა და კრიტიკოსებში. რა თქმა უნდა, შეფასება არ იყო ერთგვაროვანი, ისევე, როგორც დღემდე არაა შეფასებული XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში განვითარებული მოვლენები. რომანი „უკმარი სინათლე“ წარმოადგენს ეპიკურ თხრობას, რომელიც ასახავს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და გარდამტეხ პერიოდს — 1980-90-იან წლების მიჯნას. ამ პერიოდში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად

გამსახურდიას, მოღვაწეობა და მისი მმართველობის პერიოდი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რომანის სიუჟეტზე და პერსონაჟების განვითარებაზე. რომანის სიუჟეტი ვითარდება ძველი თბილისის ფონზე, სადაც ოთხი გოგონა — დინა, ირა, ნენე და ქეთო — ერთმანეთთან მჭიდრო მეგობრობით არიან დაკავშირებულნი. 4 ქალის ისტორია, 4 განსხვავებული ხასიათისა და ინტერესების ადამიანი 4 სტიქიის მსგავსად, რომლებიც ერთად დიდ ძალას და ჰარმონიას ქმნიან. სწორედ მათი მეგობრობის და ისტორიის ფონზე იშლება აქაც 80-90 -იანი წლების ამბები. რომანში ვერ ავცდებით კლიშეებსაც. გერმანულის სპეციალისტი ბებია - მკაცრი, მოწესრიგებული და პრაგმატული. ფრანგულის სპეციალისტი ბებია - რომანტიკული პერსონა, სილაღითა და ცოტა თავქარიანობით. ინტელექტუალი მამა - არაპრაგმატული და გარემოსშეგუებელი, თავის მიკროსამყაროში შეყუჟული. ეს ერთი ოჯახის მკვიდრნი. ავტორს მთელი საქართველო ერთ ეზოში ჰყავს მოქცეული, ეზო კი ასევე სიმბოლურად, ვაზის ქუჩაზეა.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი, რომელიც ხასიათდებოდა ეროვნული იდენტობის აღორძინებითა და თავისუფლებისკენ სწრაფვით, რომანში ასახულია როგორც იმედის და ტრაგედიის ერთდროული წყარო. ნინო ხარატიშვილი ხაზგასმით აღწერს, თუ როგორ გადაიქცა თავისუფლებისკენ სწრაფვა ძალადობაში, ჰეროინის გავრცელებაში და ე წ „სამოქალაქო ომში“, რაც, ავტორის აზრით, სიმბოლურად ასახავს ზვიად გამსახურდიას იდეალების და რეალობის შორის არსებულ დაპირისპირებას.

გამსახურდიას ეპოქა ტექსტში წარმოადგენს გარდამტეხ ზღვარს ბავშვურ ილუზიასა და სასტიკ სინამდვილეს შორის. ავტორი ხაზს უსვამს იმედგაცრუებას ეროვნული ლიდერობის იდეალების მიმართ და აჩვენებს, როგორ გადაიქცა დამოუკიდებლობისმოყვარეობა სამოქალაქო ომით, სიღარიბითა და ძალადობით აღსავსე რეალობად.

ნინო ხარატიშვილის „უკმარი სინათლეში“ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი რეპრეზენტირებულია როგორც სიმბოლური გარდატეხის წერტილი პერსონაჟების ცხოვრებაში. ავტორი მკაფიოდ გამოყოფს ამ ეპოქის განცდას კოლექტიური მეხსიერების ტრავმატულ ფენად, სადაც პიროვნული თავისუფლება, სოციალურ-საგარეო გარემოს რღვევა და პოლიტიკური ძალადობა ერთმანეთში არის გადახლართული.

გმირების ბავშვობის იდეალისტური სამყარო ნგრევის პროცესს იწყებს ზუსტად მაშინ, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობას აცხადებს. რომანი გადმოსცემს იმ პარადოქსს, რომ თავისუფლება, რომელიც უნდა ყოფილიყო ბედნიერების წყარო, იქცა უსაშინლეს ტვირთად, რადგან მას თან სდევდა ეკონომიკური კრიზისი, კრიმინალის ზრდა და ადამიანის სიცოცხლის გაუფასურება (ხარატიშვილი, 2022).

ზვიად გამსახურდიას ეპოქის აღწერა რომანში ძირითადად ორი გზით ვლინდება:

პირველი — ფონური გარემოს ტრანსფორმაციით, სადაც თბილისი წარმოჩენილია როგორც განადგურებული ქალაქი, სადაც დანგრეული შენობები, სიცარიელე და სიბნელე ქმნიან აპოკალიფსურ ატმოსფეროს.

მეორე — პერსონაჟების პირადი განცდების მეშვეობით, რომლებიც ასახავენ დაკარგულ ბავშვობას, ოჯახური უსაფრთხოების დაშლას და სამომავლო პერსპექტივების ნგრევას.

რომანში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ელექტროენერგიის ქრონიკულ ნაკლებობასა და საგანგებო მდგომარეობის შეგრძნებას, რაც იქცა ფიზიკურ და ემოციურ მახასიათებლად ეპოქისა. ელექტრონდის სინათლეც კი „უკმარ სინათლედ“ აღიქმება, რაც მეტაფორულად გამოხატავს ცხოვრების ხარისხისა და მომავლის მოლოდინის მკვეთრ შემცირებას.

ავტორი ზედმეტი პათეტიკის გარეშე, მაგრამ დიდი ემოციური სიზუსტით აჩვენებს, როგორ იქცევა ზვიად გამსახურდიას მმართველობის შემდგომიდროინდელი ქაოსი

ყოველდღიური არსებობის ბუნებრივ მდგომარეობად. გმირებისთვის პოლიტიკა არ არის აღქმული, როგორც იდეალების სივრცე, არამედ როგორც ყოველდღიური საფრთხის, შიშის და ძალადობის ნაწილი. ამგვარად, გამსახურდიას და შემდგომი ეპოქა ტექსტში არის არა ისტორიული მოვლენების ნეიტრალური რეკონსტრუქცია, არამედ მტკივნეული ცხოვრებისეული გამოცდილების რეპრეზენტაცია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ რომანში ამ ეპოქის აღწერა არ არის პირდაპირი ან პროპაგანდისტული: არც გმირები აფასებენ ზვიად გამსახურდიას ფიგურას პოლიტიკურად, არც ავტორი იძლევა მონოლითურ განსჯას. პირიქით, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ იმოქმედა სისტემურმა კოლაფსმა ადამიანებზე — როგორ შეცვალა პერსონაჟების პირადი ურთიერთობები, როგორ დააკნინა მათი ოცნებები და როგორ აქცია მათთვის მომავალი გაურკვეველ და საშიშ სივრცედ.

ნინო ხარატიშვილის რომანი უკმარი სინათლე წარმოდგენს ისტორიული ტრავმის გავლენის მნიშვნელოვან მხატვრულ რეფლექსიას, სადაც პერსონაჟთა ინდივიდუალური გამოცდილებები კოლექტიური მეხსიერების ფონზე განიხილება. ავტორი ხაზს უსვამს პერსონაჟების ასაკობრივ მდგომარეობასა და მათივე შინაარსობრივ გაუცხოებას იმ ისტორიული პროცესებისგან, რომლებიც განსაზღვრავდა ქვეყნის მომავალს. ერთ-ერთ ეპიზოდში გმირი აღნიშნავს, რომ მაშინ ვერ აცნობიერებდა მომხდარის სიმძიმეს: „ეს ამბავი დიდად არ გვანაღვლებდა, საკუთარი თავისუფლების აღნიშვნა გვერჩივნა, გინდაც ჩვენი თავისუფლება ქვეყნის თავისუფლებაზე ყოფილიყო დამოკიდებული“ (ხარატიშვილი, 2022, გვ. 217). ავტორი ქმნის სიმბოლურ მეტაფორას — გონდოლა, რომელიც „ცისკენ მიმავალ, შუაგზაზე გაჩერებულ“ მდგომარეობაშია, რაც ნათლად მიანიშნებს პერსონაჟების შეჩერებულ განვითარებაზე იმ ისტორიული რეალობის ფონზე, რომლის მნიშვნელობაც მათ ჯერ არ ესმით: „მთელი ქუჩა ცეცხლის ალს შთაენთქა. ოღონდ ჩვენ ეს არ ვიცოდით, ჯერაც ისე ახლოს ვიყავით ცასთან“ (ხარატიშვილი, 2022, გვ. 310). აღნიშნული მეტაფორა ღრმა ალუზიაა პერსონაჟთა მომავალ ტრაექტორიაზე და ტრაგიკული განცდების ჩამოყალიბების პროცესზე. ავტორი ამავდროულად წარმოგვიდგენს სოციალური და ოჯახური კონფლიქტების სურათს, რაც ახასიათებს საზოგადოებაში არსებულ პოლარიზაციას პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ. თხრობაში ასახულია ოჯახის წევრებს შორის ღრმა უთანხმოება, რომელიც პოლიტიკურმა მოვლენებმა გამოიწვია: „რუსეთი ამას იოლად არ გვაპატიებს!“ – აცხადებს პერსონაჟის მამა, დედა კი ამატებს: „ეს იდიოტი მთელ ქვეყანას თავის ეგოს გადააყოლებს!“ – ნათქვამი სწორედ პრეზიდენტის მისამართით (ხარატიშვილი, 2022, გვ. 309). ნინო ხარატიშვილის მიერ აღწერილი ოჯახური დიალოგები ასახავს არა მხოლოდ ემოციურ დაძაბულობას, არამედ კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბების რთულ პროცესს. მაგალითად, ერთ-ერთ სცენაში პრეზიდენტის თავდადებული მხარდამჭერი ოლიკო და მისი ოპონენტები მწვავე კამათში ებმებიან. ეთერი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი „მშიშარაა და თან გაქცეული“, ხოლო ოლიკო ამ მოსაზრებას ემოციურად ეწინააღმდეგება: „პატივს უნდა მიაგებდე საწყალ კაცს, მარტო იცავს თავის ქვეყანას მკვლელებისგან“ (ხარატიშვილი, 2022, გვ. 535). აღნიშნული ეპიზოდი ნათლად ასახავს, როგორ იბადება და მყარდება ინდივიდუალურ მეხსიერებებზე დაფუძნებული პოლიტიკური წარმოდგენები. ტექსტი, როგორც ისტორიული ლიტერატურული ნარატივი, რეფლექტირებს არა მხოლოდ პიროვნულ და ოჯახურ ურთიერთობებზე, არამედ იმ ფსიქოლოგიურ დაძაბულობაზეც, რომელიც თან სდევდა საზოგადოებრივ პოლარიზაციას გარდამავალი პერიოდის საქართველოში. პერსონაჟების ემოციური და ნარატიული სტრუქტურა მიანიშნებს ტრავმის მემკვიდრეობით ბუნებაზე და იმაზეც, თუ როგორ იქცევა ისტორიული მეხსიერება შიდა კონფლიქტებისა და იდენტობის შემდგენელ ფაქტორად.

ამგვარად, ნინო ხარატიშვილი ქმნის კომპლექსურ ლიტერატურულ პორტრეტს ზვიად გამსახურდიას ეპოქისა: არა როგორც ერთი პოლიტიკური ლიდერის პიროვნულ

პასუხისმგებლობას, არამედ როგორც საზოგადოებრივი კოლაფსის ფართო სურათს, რომლის გავლენაც იგრძნობა არა მხოლოდ ეპოქის დასრულების მომენტში, არამედ ათწლეულების შემდეგაც გმირების ცნობიერებაში.

დასკვნა. ნაშრომის ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა აქტიურად მონაწილეობს ისტორიული მეხსიერების კონსტრუირებისა და წარსულის ტრავმების რეფლექსიის პროცესში. ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული რეპრეზენტაცია ლაშა ბუღაძის „საქართველოს სახელით“ და ნინო ხარატიშვილის „უკმარი სინათლეში“ წარმოაჩენს ისტორიული რეალობისა და მხატვრული ინტერპრეტაციის დინამიკურ ურთიერთქმედებას. ლაშა ბუღაძის ტექსტი კონცენტრირდება გამსახურდიას პერსონალური და მორალური დრამის მხატვრულ გააზრებაზე, ხოლო ნინო ხარატიშვილის რომანი ანალიზის ფოკუსს გადაიტანს ეპოქის გავლენაზე ინდივიდუალურ და კოლექტიურ გამოცდილებებზე.

ორივე ავტორის ნარატივი გვიჩვენებს, რომ ისტორიული ფიგურების მხატვრული ტრანსფორმაცია სცილდება ბიოგრაფიული აღწერის ფარგლებს და ემსახურება ისტორიულ, მორალურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებში ეროვნული მეხსიერების და თვითშეგნების განმტკიცებას. კვლევა ადასტურებს, რომ ლაშა ბუღაძისა და ნინო ხარატიშვილის ტექსტები ქმნიან მნიშვნელოვან პლატფორმას ისტორიული ტრავმების ლიტერატურული რეფლექსიისთვის, აქცენტს აკეთებენ ლიდერის ფიგურის კომპლექსურობაზე და ხაზს უსვამენ ისტორიის როგორც კოლექტიური გამოცდილების, ისე ინდივიდუალური აღქმის მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბენდიანიშვილი, თ. (2022). პოსტსაბჭოთა საქართველოს ლიტერატურული ასახვა: ნინო ხარატიშვილის „უკმარ სინათლეზე“. *ქართული ლიტერატურის კვლევები.* 8(1), 73–85.

ბუღაძე, ლ. (2023). *საქართველოს სახელით.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გამსახურდია, კ. (1945). *ლანდებთან ლაციცში.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

დუნდუა, ს. (2021). ეროვნული ტრავმა და კოლექტიური მეხსიერება ქართულ ლიტერატურაში. *ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალი.* ტ. 14, გვ. 45–61.

ღლონტი, ს. (2018). *ზვიად გამსახურდიას ქრისტიანული მრწამსი.* თბილისი: უნივერსალი.

ხარატიშვილი, ნ. (2022). *უკმარი სინათლე.* თბილისი: ინტელექტი.

ჯაფარიძე, ნ. (2020). მესიანიზმის კონცეფცია ქართულ პოლიტიკური ლიდერობის ნარატივებში. *ქართული პოლიტიკის კვლევები.* ტ. 7, გვ. 112–130.

Assmann, A. (2011). *Cultural Memory and Western Civilization: Functions, Media, Archives.* Cambridge University Press.

Herodotus. (2003). *The Histories (R. Waterfield, Trans.).* Oxford University Press. (Original work published ca. 440 BCE).

Plutarch. (1914). *Parallel Lives*. (B. Perrin, Trans.). Harvard University Press.

Sandars, N. K. (1972). *The Epic of Gilgamesh*. Penguin Classics.

Todorova, M. (1997). *Imagining the Balkans*. Oxford University Press.

Tuite, K. (2005). The Rise and Fall of Zviad Gamsakhurdia: Nationalism and Political Change in Georgia. *Nationalities Papers*. 33(3), 389–414. https://doi.org/10.1080/00905990500149144

REFERENCES

bendianishvili, t. (2022). p'ost'sabch'ota sakartvelos lit'erat'uruli asakhva: nino kharat'ishvilis „uk'mar sinatleze“ [The literary reflection of post-Soviet Georgia: On Nino Kharatishvili's The Eighth Life (For Brilka)]. *kartuli lit'erat'uris k'vlevebi [Studies in Georgian Literature]*. 8(1), 73–85.

bughadze, l. (2023). *sakartvelos sakhelit [In the Name of Georgia]*. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing.

gamsakhurdia, k'. (1945). *landebtan latsitsshi [Dancing with Shadows]*. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.

dundua, s. (2021). erovnuli t'ravma da k'olekt'iuri mekhsiereba kartul lit'erat'urashi [National trauma and collective memory in Georgian literature]. *lit'erat'uris inst'it'ut'is zhurnali [Journal of the Institute of Literature]*. Vol. 14, pp. 45–61.

ghlont'i, s. (2018). *zviad gamsakhurdias krist'ianuli mrts'amsi [Zviad Gamsakhurdia's Christian Doctrine]*. Tbilisi: Universali.

kharat'ishvili, n. (2022). *uk'mari sinatle [The Eighth Life (For Brilka)]*. Tbilisi: Intelekti.

japaridze, n. (2020). mesianizmis k'ontseptsia kartul p'olit'ik'uri liderobis narat'ivebshi [The concept of messianism in narratives of Georgian political leadership]. *kartuli p'olit'ik'is k'vlevebi [Georgian Political Studies]*. Vol. 7, pp. 112–130.

Assmann, A. (2011). *Cultural Memory and Western Civilization: Functions, Media, Archives.* Cambridge University Press.

Herodotus. (2003). *The Histories (R. Waterfield, Trans.).* Oxford University Press. (Original work published ca. 440 BCE).

Plutarch. (1914). *Parallel Lives*. (B. Perrin, Trans.). Harvard University Press.

Sandars, N. K. (1972). *The Epic of Gilgamesh*. Penguin Classics.

Todorova, M. (1997). *Imagining the Balkans*. Oxford University Press.

Tuite, K. (2005). The Rise and Fall of Zviad Gamsakhurdia: Nationalism and Political Change in Georgia. *Nationalities Papers*. 33(3), 389–414. https://doi.org/10.1080/00905990500149144